საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 12.11.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს თამარ ოქროპირიძე?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის თამარ ოქროპირიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის N1/141 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა თამარ ოქროპირიძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2021 წლის 28 მაისს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის, თამარ ოქროპირიძის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის 34[2] მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, თამარ ოქროპირიძის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტს და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ხოლო, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, თამარ ოქროპირიძეს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ მახასიათებელში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო საკმაოდ მაღალი - 94 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 94%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინებით საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინა 9 კანდიდატი. 2021 წლის 12 ივლისს კი პარლამენტმა რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე კენჭი უყარა აღნიშნულ კანდიდატებს. რის შედეგად, მან მხარი დაუჭირა ექვსი კანდიდატის

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევას, თუმცა, პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა სამ კანდიდატს.

ამასთან, ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვერ აირჩევს, კანდიდატებად რეგისტრირებულ პირთა სიაში მითითებული პირებიდან, აღნიშნული მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით შეირჩევა იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არსებობს და მითითებული მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, ისინი წარედგინება პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 4 ნოემბრის N1/182 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდნენ თეა ძიმისტარაშვილი, თამარ ოქროპირიძე და ნინო სანდოძე.

ამრიგად, 2021 წლის 12 ნოემბერს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად - თამარ ოქროპირიძეს მხარი დავუჭირე. ვინაიდან, მიმაჩნია, რომ იგი მისი ცოდნის, კომპეტენციის, პიროვნული რეპუტაციის, პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით, ღირსეულად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის დაკისრებულ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 12/11-21